ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.11.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 018/13

შეკითხვა:

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელებისას დაკითხა მოწმეები და შეადგინა გამოკითხვის ოქმები. კლიენტმა საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, ადვოკატს სთხოვა მისთვის გადაეცა აღნიშნული მოწმეების გამოკითხვის ოქმების ასლები. კლიენტს სურდა აღნიშნული ოქმების ასლები წარედგინა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მართებული იქნება თუ არა რომ ადვოკატმა გადასცეს თავის კლიენტს მოწმეთა გამოკითხვის ოქმების ასლები?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 ნაწილის მიხედვით: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე.

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების/დაბრუნების ვალდებულებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, გამოკითხვის ოქმები წარმოადგენდა კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რომელიც ადვოკატმა საქმის წარმოების პროცესში შეადგინა. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია გადასცეს თავის კლიენტს მოცემული დოკუმენტები საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას.

დასკვნა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას, კლიენტს დაუბრუნოს დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს მოწმეების გამოკითხვის ოქმებს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.